



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

PRESS RELEASE

BP საქართველო და USAID Zrda საქართველოში თემების მხარდასაჭერად

საქართველო, თბილისი - 2017 წლის 18 დეკემბერს, USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ (ეკონომიკური განვითარების პროგრამა) ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა და კომპანია BP-ის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსმა გია ღვალამემ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის თანახმად, კომპანია BP და USAID პროექტი „ზრდა საქართველოში“ განახორციელებს ერთობლივ პროექტებს იმ 41 სამიზნე სოფელში, სადაც BP Georgia-სა და ზრდა პროექტის საქმიანობა თანხვედრაშია.

შეთანხმება ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების განხორციელებას ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; თემების გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების ხელშეწყობას და ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების ზრდის შესაძლებლობების მხარდაჭერას.

41 სამიზნე სოფლის მოსახლეობა 14 000-ს შეადგენს. მათგან 22 სოფელი მდებარეობს შიდა ქართლში (კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები) დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) გასწვრივ, ხოლო დანარჩენი 19 სოფელი მდებარეობს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (ახალციხის, ადიგენისა და წალკის მუნიციპალიტეტები) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენების მიმდებარედ.

ამჟამად, კომპანია BP თემის განვითარებაზე მიმართული პროგრამის შემდგომი ეტაპის შემუშავების პროცესშია. პროგრამის განხორციელების ახალი ფაზა დაგეგმილია 2018 წლის ზაფხულში. ტექნიკური დახმარების, ტრენინგებისა და მცირე გრანტების ინსტრუმენტების გამოყენებით, USAID-ის პროექტი ზრდა განახორციელებს \$300 000-მდე ინვესტიციას სამიზნე სოფლებში ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით. BP-ისა და მისი პარტნიორების მხრიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC)/სამხრეთ კავკასიური მილსადენის (SCP) პროექტების შემდეგი ფაზისთვის გამოყოფილი ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 2018 წელს განისაზღვრება.

კომპანია BP, პარტნიორების სახელით, უკვე 25 წელია ახორციელებს ნავთობისა და გაზის მოპოვებასა და ტრანზიტს ამ რეგიონში. საქართველოში კომპანიის საქმიანობა 20 წელზე მეტს ითვლის. BP-ის მიერ ოპერირებული ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მოქმედი გაზსადენი და მისი გამტარუნარიანობის გაზრდის გეგმები ნაწილია ჩვენი მკაფიო სტრატეგიის, რომელსაც ქვეყნის მთავრობაც იზიარებს და რომელიც არსებული ენერგოდერეფნის გაფართოებას ითვალისწინებს. ჩვენ ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი ვართ ქვეყანაში და დღემდე 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განვახორციელეთ ენერგოპროექტებში. მათ შორის 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია მდგრადი განვითარების პროექტებში. ჩვენ, ჩვენი ნავთობისა და გაზის პროექტების პარტნიორებთან, დონორებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ერთად ხელს ვუწყობთ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას და ფართო საზოგადოებისთვის ენერჯიაზე ხელმისაწვდომობას, ენერგოეფექტურობას, ბიზნესის წამოწყებას და სოფლის მეურნეობას, განათლებას და პარალიმპიურ სპორტს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.bpgeorgia.ge



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება 2,400-ზე მეტი სამუშაო ადგილი, 13,200 ოჯახს გაეზრდება შემოსავალი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.zrda.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის:
BP Georgia: თამილა ჩანტლაძე
+995 32 259 34 00/ chantlat@bp.com
USAID Zrda: ქეთი რეხვიანიშვილი,
+995 32 222 74 95/ krekhiashvili@zrda.ge